ა.სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: გენდერის კვლევა
Gender Studies

ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი გენდერის კვლევებში
Master of Social Sciences (MSocSc) in Gender Studies

გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი (ECTS)

ხარისხის მინიჭების პირობაა 120 კრედიტის (ECTS) დაგროვება სასწავლო კურსებით (85 კრედიტი), სასწავლო პრაქტიკით (5 კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტი).
სწავლის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელიწადი, ანუ ოთხი აკადემიური სემესტრი.

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში ინტერდისციპლინარულია, **იგი სტუდენტებს აწვდის გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ უახლეს ცოდნას**.

პროგრამის მიზანია:
- მოამზადოს სტუდენტები გენდერის საკითხებზე როგორც სამეცნიერო-კვლევითი ისე პრაქტიკული მუშაობისათვის.
- განუვითაროს მათ კვლევისა და ანალიზის უნარი;

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში არის ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამა მთელ კავკასიაში. პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, შემდგომში გენდერის კვლევის ინსტიტუტს, რატგერსის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. გენდერის კვლევების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო განათლება სოციალურ მეცნიერებებში; შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში, ქალთა უფლებების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები, ფემინისტური თეორიები.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;
- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გენდერის კვლევის შესავალ საკითხებზე გასაუბრების საფუძველზე. გამოცდის საკითხებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:
    - ინგლისური ენის ტესტი - B2 დონე
    - წერითი გამოცდა სპეციალობაში
    - გასაუბრება
    - საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა.

გასაუბრებისთვის მოსამზადებელი ლიტერატურა ატვირთულია თსუ -ისა და ფაკულტეტის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მისაღები კომისიის წევრები მტკიცდება ფაკულტეტის წარდგენის საფუძველზე.

ზ) სწავლის შედეგი:

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტი ფლობს უახლეს ცოდნას გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ; აქვს გენდერული თვალსაზრისით საინტერესო კვლევითი თუ პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიკაციის უნარსა და მათ გადასაჭრელად საჭირო თეორიულ თუ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს; ფლობს გენდერთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემების გადაჭრაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას; გარდა ამისა, სტუდენტს განვითარებული აქვს ზოგადად კვლევისა და ანალიზის უნარს, დებატების კულტურას, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარები; ფლობს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი სოციალური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას და გამოცდილებას. სტუდენტს აქვს მგრძნობელობა სხვადასხვა სახის სოციალური უსამართლობის მიმართ და გააჩნია სოციალური სამართლიანობის იდეასთან

დაკავშირებული ღირებულებები, აგრეთვე სოციალურ გარდაქმნაზე მიმართული პოლიტიკური და სიმბოლურ-კულტურული ბრძოლის მარეგულირებელი ღირებულებები; სტუდენტს შეუძლია განსხვავებული აზრისა თუ განსხვავებული ცხოვრების წესის პატივისცემა და ტოლერანტობა; სტუდენტი ასევე აქვს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ცოდნის ძიების პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, აზროვნების ღიაობა.

პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტების მიერ ათვისებული ცოდნა და უნარები შემდეგია:

ცოდნადა გაცნობიერება

- გენდერის კვლევის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლები
- ფემინისტური და „ქვიარ“ თეორიებიდა მათ შორის მიმართებები;
- ქალთა უფლებების / ფემინისტური და ანტიჰომოფობიურისოციალური მოძრაობების ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა;
- გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობა და სახელმძღვანელო პრინციპები;
- გენდერის სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხები და სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარება;
- გენდერული პერსპექტივის გამოყენება სხვადასხვა სოოციალურ-პოლიტიკური საკითხის / პრობლემის ანალიზისას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

- გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის უნარი;
- გენდერული უსამართლობის პრობლემების გადასაწყვეტად მიმართული პროექტების განვითარებისა და ასეთი პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მობილიზების უნარი;
- კვლევითი თუ სოციალური პროექტების განვითარების, მათთვის დაფინანსების მოპოვებისა და მათი განხორციელების უნარი;
- სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების ცოდნა და მათი სათანადო გამოყენება გენდერის პრობლემების კვლევისას;
- გენდერული პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება.

ზოგადი / ტრანსფერული უნარები

ა) დასკვნის უნარი

- კრიტიკული აზროვნება;
- ქართულ- და ინგლისურენოვანი ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი (აღნიშნული ტექსტები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში);
- ანალიზის და სინთეზის უნარები;
- რელევანტური ემპირიული მონაცემების შეგროვების, მათი სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი;
- სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი.

ბ) კომუნიკაციის უნარი

- კვლევის შედეგების წერილობით წარმოდგენის უნარი;
- კვლევის შედეგების სათანადო კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით ზეპირი პრეზენტაციის უნარი;
- დისკუსიებში და პოლემიკებში მონაწილეობის უნარი;
- დებატების წარმართვისუნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი.

გ) სწავლის უნარი

- ქართულ- და ინგლისურ-ენოვანი ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი;
- რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების უნარი;
- სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარები;
- ჯგუფში მუშაობისუნარი.

ღირებულებები

- სოციალური სამართლიანობა;
- პოლიტიკური აქტიურობა და პასუხისმგებლობა;
- განსხვავებების აღიარება და პატივისცემა / ტოლერანტობა;
- კვლევითი კეთილსინდისიერება;
- ობიექტურობა;
- აზროვნების ღიაობა და სიახლის მიმართ გახსნილობა;
- რეფლექსურობა კვლევაში;
- ცოდნის, როგორც ღირებულების გაცნობიერება.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

აღნიშნული შედეგები მიიღწევა იმით, რომ პროგრამის კურიკულუმის კურსები მიმართულია სხვადასხვა შედეგის უზრუნველყოფაზე შედეგების ოთხივე კატეგორიის გათვალისწინებით. კურსების უმრავლესობის დიზაინი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და გაცნობიერების გადაცემას; ასევე მათში კვლევის, აკადემიური წერის, ზეპირი კომუნიკაციისა და პრზენტაციის, აკადემიურ დებატებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას. სახელდობრ, გარდა თეორიული ტექსტების სოლიდური რაოდენობით შესწავლისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ თხზულებების, კრიტიკული რეაქციებისა და რეცენზიების წერა, პრეზენტაციების მომზადება, დისკუსიებში მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების მომზადება.

რამდენიმე კურსი, ისევე, როგორც სამაგისტრო შრომა, ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვას, ჩატარებას, და შედეგების წერილობით წარმოდგენას; ერთი კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული საპროექტო წინადადების მომზადებას; ხოლო სხვა კურსი ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევების წერას - ეს კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

რამდენადაც პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი კურსების უმრავლესობა ასე თუ ისე ეხება გედნერული უსამართლობის საკითხებს, ისინი სტუდენტებში ავითარებს სოციალური სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ასევე ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ანგაჟირებულობას და პასუხისმგებლობას, ანგარიშმგები და გამჭვირვალე საჯარო პოლიტიკის მოთხოვნას. ხოლო უფრო თეორიულად ორიენტირებული კურსები და კურსები, რომლებიც კვლევის მეთოდებისა და უნარების ათვისებაზეა ორიენტირებული, იმავდროულად სტუდენტებს უვითარებს კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ ღირებულებებს, როგორებიცაა ცოდნის პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, კვლევის რეფლექსურობა და მკვლევრის სოციალური პოზიციის პოლიტიკური შედეგების გაცნობიერება და სხვა.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასე გახორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასების გრადაცია შემდეგნაირია:

100-91	ფრიადი, A
90-81	ძალიან კარგი, B
80-71	კარგი, C
70-61	დამაკმაყოფილებელი, D
60-51	საკმარისი, E
50-41	ვერ ჩააბარა, FX
40-0	ჩაიჭრა, F

კურსები მოიცავს შეფასების კომპონენტების დიდ მრავალფეროვნებას: დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა ან თხზულება, საბოლოო თხზულება, წერილობითი კრიტიკული რეაქციები საკითხავ მასალაზე, წიგნის რეცენზია, კვლევითი პროექტი, სოციალურ გარდაქმნაზე მიმართული საპროექტო წინადადების შემუშავება, საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევის შექმნა და სხვა. არც ერთ კურსში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში არ აღემატება 40%-ს. მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაა დამოკიდებული ექსკლუზიურად საბოლოო პროდუქტზე.

ცალკეულ კურსებში შეფასების სისტემა აღწერილია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც მოცემულია დანართების სახით.

კ) პროგრამის სასწავლო გეგმა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმა სავალდებულო და არჩევითი კურსების მიხედვით და სემესტრული განაწილების მიხედვით:

სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი (ECTS)
არჩევითი კურსები - 50 კრედიტი (ECTS)
თავისუფალი - 5 კრედიტი (ECTS)
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)
სულ კრედიტების რაოდენობა პროგრამისთვის - 120 (ECTS)

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი
<u>პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი:</u> მედეა ბადაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

<u>პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი:</u>

პროფესორი	1 (მ. ჩიტაშვილი)
ასოცირებული პროფესორი	6 (მ. ბადაშვილი, თ. მატარაძე, ლ. წულაძე, ნ. მაჭარაშვილი, ჩ. ჯაში, ლ. გაფრინდაშვილი).
მოწვეული ლექტორი	13 (თ. ცხადაძე, ა. რეხვიაშვილი, ს. ცოფურაშვილი, ნ. არჯევანიძე, მ.ბარქაია, ლ. ქირია, თ. ცოფურაშვილი, მ.მესხი, ქ. ჩხეიძე, ე. ნოღაიდელი, თ. მელაშვილი; თ.ზურაბიშვილი, ლ.ბერიანიძე, ა.ილურიძე, მ.მესხი)

მ) დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: გენდერის კვლევა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 43

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №38/2012-28 მაისი, 2012; დადგენილება №100/2013- 9 სექტემბერი,2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012- 2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები 35 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			შემოდგომა	გაზაფხული	
1	ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		თამარ საბედაშვილი
2	აკადემიური წერა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ანა რეხვიაშვილი თამარ საბედაშვილი
3	სოციალური კვლევის მეთოდები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		თეონა მატარაძე
4	„გენდერი, ოჯახი და რელიგია პოსტ-სოციალისტურ სივრცეში“	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მედეა ბადაშვილი
5	შესავალი ფემინისტურ თეორიებში	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მედეა ბადაშვილი მაია ბარქაია
6	ფემინისტური ფილოსოფია	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	თამარ ცხადაძე მედეა ბადაშვილი
7	სასწავლო პრაქტიკა	5	-	45	-	80	წინაპირობის გარეშე	X	X	მედეა ბადაშვილი

საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები 50 კრედიტი (ECTS)										
8	გენდერი და ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ჩარიტა ჯაში
9	გენდერი და ნაციონალური სახელმწიფო	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ანა რეხვიაშვილი ქეთევან ჩხეიძე
10	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	2	93	წინაპირობის გარეშე	X		ლელა გაფრინდაშვილი
11	საჯარო პოლიტიკის ანალიზი (სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ნანა მაჭარაშვილი
12	ომი და გენდერი – ქალთა მეხსიერება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ნარგიზა არჯევანიძე ეთერ ნოღაიდელი
13	ქალთა უფლებები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ბაია პატარაია
14	აგენტობა, სუბიექტურობა და სოციალური ცვლილება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	მედეა ბადაშვილი
15	ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	სალომე ცოფურაშვილი
16	გენდერი და იძულებითი გადაადგილება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	ნარგიზა არჯევანიძე
17	ქუირ თეორია და პრაქტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ლია ჯალაღანია
18	გენდერი და ფსიქოანალიზი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	მარინე ჩიტაშვილი
19	გენდერი და შრომა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ლელა ქირია
20	რევოლუციები და გენდერი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	მაია ბარქაია
21	გენდერი და განვითარება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	თამარ საბედაშვილი ქეთევან ჩხაიძე
22	ქალთა ისტორიის შექმნა: თეორიები, მეთოდოლოგიები, არქივები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		თამთა მელაშვილი
23	კულტურა და იდენტობები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	ლია წულაძე

	ცვალებად საზოგადოებაში (კულტურის და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)									
24	გენდერი და ქრისტიანობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		თამარ ცოფურაშვილი
25	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		სალომე ცოფურაშვილი
26	განმანათლებლობა, სოციალური მოძრაობა და ქართველი ქალები	5	15	15	4	91	სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს გენდერის თეორიასთან დაკავშირებული 2 საბაკალავრო კურსი და ერთი მაინც სამაგისტრო კურსი	X		ლელა გაფრინდაშვილი
27	გენდერი და სოციალისტური სახელმწიფო	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ნარგიზა არჯევანიძე
28	სექსუალობის ანთროპოლოგია	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ეთერ ნოღაიდელი
29	სუბკულტურა - თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები (კულტურის და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ლია წულაძე
30	გენდერი და შრომითი მიგრაცია	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		თამარ ზურაბიშვილი
31	პოსტკოლონიური ფემინისტური კრიტიკა, იმპერია და კაპიტალიზმი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მაია ბარქაია
32	გენდერი, პოლიტიკა და სამოქალაქო საზოგადოება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ანა ილურიძე
33	სოციალური მოძრაობები და გენდერი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მაია ბარქაია

34	ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მარინა მესხი
35	ფემინისტური სამართლის თეორია და კრიტიკა	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე		X	ლია ჯალაღანია
36	სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (,,კონფლიქტების ანალიზის და მართვის'' სამაგ. პროგრამიდან)	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	თეონა მატარაძე
37	გლობალური მიგრაცია: თანამედროვე ტენდენციები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მედეა ბადაშვილი
38	კვლევითი სემინარი: კვლევითი პროექტის დიზაინი	5	15	15	2	93	შესავალი გენდერის და ფემინისტურ თეორიებში; თვისებრივი კვლევის მეთოდები.		X	ნარგიზა არჯევანიძე
39	**სამაგისტრო ნაშრომი**	**30**								
სულ კრედიტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამისათვის 120										
თავისუფალი კურსები/მოდულები 5 კრედიტი (ECTS)										

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ ფაკულტეტის ბეჭედი